განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
„აგრარული ეკონომიკა“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 13 თებერვალი 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12 აპრილი 2020 წელი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული ეკონომიკა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ეკონომიკის დოქტორი 0701
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრდიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 18 მარტის № 39 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციული სკოლა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ სანიკიძე გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ჭირაქაძე - სტუდენტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის, "აგრარული ეკონომიკის" სადოქტორო პროგრამა, რომელის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში გადის ხელახალ აკრედიტაციას. იგი აკრედიტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 18 მარტის № 39 გადაწყვეტილებით.

პროგრამა შედგება მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია 3 წელზე, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი; დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 (ECTS) კრედიტისა ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები; სასწავლო კომპონენტი – 60 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტი,

სასწავლო კომპონენტი მოიცავს 55 კრედიტის მოცულობით ძირითად სასწავლო კურსს, ხოლო 5 კრედიტის მოცულობა არჩევითია,

აღსანიშნავია, რომ პროგრამა აგრარული მიმართულების ეკონომიკაში, სადოქტორო საფეხურზე ერთადერთია საქართველოში, მისი არსებობა მნიშვნელოვანია აგრარული დარგის განვითარებისა და ეფექტიანობის გაზრდაში, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია წარმოდგენილი პროგრამა მაქსიმალურად უახლოვდებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, აკმაყოფილებდეს „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის" მოთხოვნებს

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის, აგრარული ეკონომიკის პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 13 თებერვალს. ვიზიტამდე 2020 წლის 12 თებერვალს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 16:00 საათიდან 18:00 საათამდე, სადაც მიმდინარეობდა წარმოდგენელი დოკუმენტაციისა, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული დღის განრიგისა და დასკვნის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

13 თებერვალს დაწესებულებაში ვიზიტი 10:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტს, რადგან:

პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 ქვესტანდარტი ორივე ნაწილობრივ შესაბამისობაშია. ანუ პირველი სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

მეორე სტანდარტის 2.1; 2.2; ნ 2.3 და 2.4 ნაწილობრივ შესაბამისობაშია; 2.5 და 2.6. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; ანუ *მეორე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.*

მე-3 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მე-4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 4.1 და 4.2 მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან.

მე-5 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია 5.1. და 5.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.3. ნაწილობრივ შესაბამსიობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - ✓ გააზრებული უნდა იქნას პროგრამის ადგილი საკვალიფიკაციო ჩარჩოში და შესაბამისად დაიხვეწოს მიზნები, ნათლად ჩამოყალიბდეს, რომ ეს არის ეკონომიკის დოქტორი აგრარული მიმართულებით.
  - ✓ პროგრამის მიზნები ბუნდოვანია, არ იძლევა იმის განცდას, რომ მზადდება ეკონომიკის დოქტორი.
  - ✓ უნდა მოხდეს შედეგების უფრო კონკრეტიზაცია აგრარული ეკონომიკის დარგის შესაბამისად, სადაც აქცენტები გაკეთდეს, არა მხოლოდ მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის მიმართულებით, არამედ წარმოდგენილი

უნდა იქნას მისი მიკროეკონომიკური ასპექტები, ფერმერული მეურენობის საჭიროების და გამოწვევების შესაბამისად;

- ✓ საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად უნდა იყოს მითითებული ეკონომიკის მეცნიერების შედეგები უფრო კონკრეტულად. ასევე გასათვალისწინებელია საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეერვე დონის შედეგები.
- ✓ მოხდეს თემატური სემინარისთვის - 1, და თემატური სემინარისთვის -2, სასწავლო გეგმის ან სილაბუსის მომზადება, რადგან მოპოვებული მტკიცებულებებით ბუნდოვანია, რამდენად შეესაბამება ის დარგის მოთხოვნებს;
- ✓ პროგრამას სასწავლო კომპონენტში უნდა დაემატოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდები რომელიმე თანამედროვე რაოდენობრივი კვლევით სოფთის კომპონენტის ინტეგრირებით;
- ✓ პროგრამის სასწავლო კომპონენტში დაემატოს საგანი თვისობრივი კვლევის მეთოდები;
- ✓ მოხდეს ეკონომიკის და ეკონომიკური ანალიზის თეორიების და პარადიგმების საკითხების სასწავლო კომპონენტში შესწავლა, რადგან წარმოდგენილი პროგრამით არ დასტურდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეერვე საფეხურის ცოდნის შედეგი: სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში. სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება.
- ✓ თუ დასაქმების სფერო შესაძლებელია იყოს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები“ მაშინ პროგრამას არჩევითი სახით უნდა დაემატოს პროფესორის ასისტირება.
- ✓ უნდა მოხდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მოდიფიცირება, შემდგომში ეკონომიკის დოქტორის კვალფიკაციის მისანიჭეტალურად საჭირო კომპეტენციების შესაბამისად.გადაიხედოს სასწავლო კურსების კომბინაცია, მასში ინტეგრირდეს „ეკონომიკის“ მეცნიერების თანამედროვე თეორიები და ხედვები ამასთანევე ცალკე კურსად წარმოდგენილი იქნას კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები;
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები: საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება და აგრარული პოლიტიკის სტრატეგია, მიწის მმართველობა და სოფლის განვითარების პოლიტიკა, ამასთანავე არჩევითი სასწავლო კურსები ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა და რეგიონის მდგარდი განვითარება, შედგენილია კარგად,

მასში გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები და ლიტერატურა. თუმცა აღნიშნული მიმართულებები უფრო ინტეგრირებული უნდა იყოს თემატურ სემინარებში და არა თავად სასწავლო კურსებში, სადაც სტუდენტებმა უნდა დააგროვონ ეკონომიკის მეცნიერების და კვლევის ინსტრუმენტების ცოდნა.

- ✓ მოხდეს დოქტორანტების კვლევით პროექტებში ჩართვა.
- ✓ სასწავლო კურსებში მოხდეს სტუდნეტისთვის ანალიზის და კვლევითი კომპეტენციის ჩამოყალიბება.
- ✓ სპეციალობის სასწავლო კურსებისთვის „თემატური სემინარი 1“ და „თემატური სემინარი 2“ სილაბუსები, მომზადდეს სილაბუსები.მოხდეს კვლევითი კომპონენტის ერთჯერადად შეფასება, მხოლოდ დაცვისას და მას უნდა მიენიჭოს 120 კრედიტი, რადგან პროგრამაში კოლოქვიუმ 1-ს და კოლოქვიუმ 2-ს მინიჭებული აქვს 30-30 კრედიტი, ხოლო სადოქტორო ნაშრომს 60 კრედიტი. რის საფუძველზეც ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანება.
- ✓ უნივერსიტეტმა უნდა შექმნას ეფექტური მექანიზმი ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოსაზიდად;
- ✓ სპეციალობის შესაბამისად უსდ-მ უნდა მოახდინოს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება უცხოელი პროფესორების დროებითი მოწვევით;
- ✓ მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და განვითარებას.
- ✓ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფაკულტეტმა და შესაბამისად უსდ-მ უნდა შეიმუშავოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამები აგროეკონომიკის მიმართულებით. ასევე საჭროა პროგრამაში ახალგაზრდა კადრების ჩართვაც, რაც პროგრამას უფრო მდგარდს გახდის.
- ✓ ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმებით განისაზღვროს პროგრამის მიზნის, კვალიფიკაციის აღმწერის შესაბამისად კოდის მინიჭება, ან კოდის საფუძველზე შეთავაზებული კურსების რელევანტურების დადგენა.
- ✓ შიდა ხარისხის შეფასების საფუძველზე მიერ ჩატარებულია გამოკითხვები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პერსონალი), თუმცა კითხვარები ზოგადია და ზედაპირული, რაც სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა. დაინტერესებული მახარეების კვლევა უფრო მეტად კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებაში უნდა მოხდეს და მისი ანალიზის შედეგად უნდა განხორციელდეს ცვლილებები პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში.

- ✓ მოხდეს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად პროგრამის პერიოდული შეფასება და მისი შესაბამისად მოდიფიცირება.
- ✓ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების დროს უნდა დადგინდეს საერთაშირისო ბენჩმარკინგული მიდგომები, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და შესაბამისად მოხდეს პროგრამის მოდიფიცირება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - რადგან დარგში ერთერთი მთავარი პრობლემა საქართველოში რისკის შეფასება ანალიზი და პროგნოზირებაა, სასურველია პროგრამაში ეს საკითხები იყოს წარმოდგენილი.
  - კარგი იქნება თუ პროგრამაში გათვალისწინებული იქნება კვლევითი პროექტის მომზადების და მართვის კურსი.
  - გაძლიერდეს კვლევითი მეთოდების სასწავლო კურსები პროგრამაში, რაც საკონსულტაციო მომსახურების ეფექტურობას გაზრდის;
  - სასურველია „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამას დაემატოს დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები ეკონომიკის მიმართულებით.
  - სასურველია „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამაზე გაიზარდოს საერთაშორისო პროექტების რაოდენობა საერთაშორისო კონფერენციების ან გაცვლითი პროექტების სახით.
  - ხარისხის გარე შეფასების დროს, რეცენზიების ნაცვლად გამოყენებული იქნას პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის რელევანტურობის დადგენა საკვალიფიაკაციო ჩარჩოსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - განახლებულ პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები: რეგიონის მდგრადი განვითარება და ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა;

    დიდია დაინტერესება და თანადგომა საქართველოს აღმასრულებელი ინსტიტუციებიდან უშუალოდ ამ პროგრამის მიმართ და კურსდამთავრებულების დასაქმების მიმართ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი, აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია • „აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია დარგის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და მკვლევარების მომზადება. • კურსდამთავრებულები ხელს შეუწყობენ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას, აგრარული სფეროს დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ხელს შეუწყობენ რეგიონების და სასოფლო ტერიტორიების (სოფლის) მდგრად განვითარებას. სრულყოფენ აგრარული პოლიტიკის სტრატეგიასა და მიწის რესურსების მართვას.“ პროგრამის მეორე ნაწილი არის შედეგი და არა მიზანი ასევე მასში არ არის მკაფიოდ ასახული, ის, რომ პროგრამა აკრედიტაციისთვის შეტანილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების №120/ნ 2010 წლის 10 დეკემბერი, 0701 - კოდით და ისინი ამზადებენ ეკონომიკის დოქტორს აგრარული მიმართულებით, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება #69/ნ, საფუძველზე 2020 წლის 30 სექტემბრამდე უნდა იქნას გადატანილი სწავლის სფეროების კლასიფიკატორზე, რომელიც მომზადებულია გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებზე („განათლების საერთაშორისო

სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) დაყრდნობით, კლასიფიკაციით, **0311 ეკონომიკა (Economics)** შეისწავლის ეკონომიკის პოლიტიკას, თეორიასა და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებას. ორივე სტანდარტის მიხედვით ეს არის ეკონომიკა (Economics) და სწორედ აღნიშნული საკითხი ნათლად არ არის ჩამოყალიბებული მიზანში.

დასაქმების სფეროებში შედეგებში ასევე აღნიშნულია, რომ ის შესაძლოა დასაქმდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ანუ ამზადებს პროფესორს ან ლექტორს, რომელიც ასევე არ არის ასახული მიზანში. თუმცა მიზანში ასახულია, რომ უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტს და მკვლევარს ამზადებენ.

კარგი იქნება დაკონკრეტდეს, „უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტი და მკვლევარი“, რა მიმართულებას მოიცავს, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რადგან პროგრამა ეკონომიკისაა და შესავალშიც წერია „აგრარული ეკონომიკა“ ამ თემას შეესაბამება.

მიზნის მეორე ნაწილი თუმცა შედეგია ვიდრო მიზანი, აქ საერთოდ არ ჩანს რომ ეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე არის საუბარი. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ბუნდოვანია სადოქტორო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ მიზნები და საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას. მისი კითხვისას შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს უფრო მეტად არის საჯარო ადმინისტრირების ანდა აგრარული პოლიტეკონომიის პროგრამის მიზნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 https://gtu.ge/AboutStu/strategic-plan.php;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“;
- დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა;
- სტუ-ის ვებ გვერდი https://gtu.ge/;
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Agro/#;
- აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ 2010 წლის 10 დეკემბერი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება #69/ნ;
- ISCED Fields of Education and Training 2013 (ISCED-F 2013) https://eqe.ge/res/docs/228085e.pdf/.

რეკომენდაციები:

- ✓ გააზრებული უნდა იქნას პროგრამის ადგილი საკვალიფიკაციო ჩარჩოში და შესაბამისად დაიხვეწოს მიზნები, ნათლად ჩამოყალიბდეს, რომ ეს არის ეკონომიკის დოქტორი აგრარული მიმართულებით.
- ✓ პროგრამის მიზნები ბუნდოვანია, არ იძლევა იმის განცდას, რომ მზადდება ეკონომიკის დოქტორი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შედეგები საკმაოდ ვრცელია, ზოგადი და მისი კითხვისას ბუნდოვანია და ზოგი შედეგის შემთხვევაში შეუძლებელია, იმის მტკიცება შეესაბამება თუ არა აგრარული ეკონომიკის პროგრამის სწავლის შედეგები აკრედიტაციის სტანდარტებს. მაგალითად „კრიტიკულად

აანალიზებს სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობას ქვეყნისა და რეგიონის დონეზე, ახდენს მთის, მთისწინეთის, დიდი ქალაქებისა და სასოფლო ტერიტორიების მოსახლეობის სასურსათო მდგომარეობის დიფერენცირებას;“ ანდა „აანალიზებს სამეცნიერო კომუნიკაციის და სამეცნიერო საქმიანობის რთულ იდეებსა და მიდგომებს. ახდენს ახალი მეთოდოლოგიის, ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენას. შეძლებს პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას.“

მხოლოდ 2 შედეგში არის ასახული ეკონომიკა პირველი შემდეგი ფორმულარით: „შეძლებენ თანამედროვე სწავლის მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენებას ***ეკონომიკური განათლების სფეროში***, თავისუფალ კომუნიკაციას პროფესიული საქმიანობის ამოცანების გადაწყვეტაში, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას. ხოლო მეორე „იზიარებს და იცავს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს, დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს ***აგრარული ეკონომიკის დარგში*** არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში მყოფ ახალ ხედვებს, სტრატეგიებსა და კონცეფციებს“.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პროგრამის მიზნები ასევე მისი შედეგები ზოგადი და ბუნდოვანია ჭირს სპეციალიზაციის დადგენა, თუმცა წარმოდგენილი „შედეგებით“ შესაძლოა ეჭვი გაგვიჩნდეს, რომ ეს ვკითხულობთ „პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების“ პროგრამას, მაგალითად:

- „პროგნოზირებს აგრო-სასურსათო სექტორის მდგომარეობას, მის შემდგომ განვითარებას და ***ამზადებს წინადადებებს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის სრულყოფის შესახებ;*** შეიმუშავებს რეკომენდაციებს დეპრესიული რეგიონების აგროსპეციალიზაციის გაღრმავებისა და განვითარების შესახებ;
- დამოუკიდებლად ამზადებს რეკომენდაციებს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების სისტემური და კომპლექსური გადაწყვეტისათვის და შეიმუშავებს ***სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფელ სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურას*** ქვეყნისა და რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- *ევროკავშირის სოფლის განვითარების კონცეფციებისა და პროგრამების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, საქართველოს ბიოგეოკლიმატური პირობებისა და რეგიონების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშავებს სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ერთეულის, განვითარების ახლებურ მიდგომებს;*
- ამზადებს წინადადებებს სოფლისა და თემის სტატუსის, სოფლად მუნიციპალური (სათემო) საკუთრების და სოფლის მეურნის სტატუსის შესახებ. ახდენს სოფლის ინსტიტუციონალური და სოციალურ-კულტურული პრობლემების იდენტიფიცირებას.

- განავითარებს მიწათსარგებლობის მონიტორინგის სქემებს, ახდენს მათ ოპტიმიზაციას და იყენებს ინოვაციურ მეთოდებს მიწის კადასტრისა და მიწის მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად;

მიუხედავად შედეგების მრავალრიცხოვნებისაა არ ჩანს დარგის მიკრო ეკონომიკური ასპექტები. მიუხედავად პროგრამის სწავლის შედეგების ბუნდოვანებისა, წარმოდგენილია სათანადო შეფასების პროცესი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის შედეგები საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას, რათა უფრო მეტად შეესაბამებოდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (პროგრამის დანართი 1, დანართი 2);
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“.
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა http://leqtori.gtu.ge/2019_2020/I/B/info;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“. http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sas_proc_mart_instr_230819_SD.pdf
- დარგის სპეციალისტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრის ოქმები;
- დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;
- აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან;
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.

რეკომენდაციები:

- ✓ უნდა მოხდეს შედეგების უფრო კონკრეტიზაცია აგრარული ეკონომიკის დარგის შესაბამისად, სადაც აქცენტები გაკეთდეს, არა მხოლოდ მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის მიმართულებით, არამედ წარმოდგენილი უნდა იქნას მისი მიკროეკონომიკური ასპექტები, ფერმერული მეურნეობის საჭიროების და გამოწვევების შესაბამისად;
- ✓ საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად უნდა იყოს მითითებული ეკონომიკის მეცნიერების შედეგები უფრო კონკრეტულად. ასევე გასათვალისწინებელია საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეერვე დონის შედეგები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ რადგან დარგში ერთერთი მთავარი პრობლემა საქართველოში რისკის შეფასება ანალიზი და პროგნოზირებაა, სასურველია პროგრამაში ეს საკითხები იყოს წარმოდგენილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაიშვებიან, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე. ამასთანავე, მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს უტარდებათ გასაუბრება დროებით საფაკულტეტო კომისიასთან. აპლიკანტს ასვე მოეთხოვება უცხოური ენის ცოდნა - B2 დონეზე. პროგრამაზე მიღების წინაპირობები არის გამჭვირვალე. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აღსანიშნავია, რომ როგორც ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე სადოქტორო პროგრამაში შესაძლებელია ჩააბაროს არა ეკონომისტმა, რომელის ეკონომიკური ცოდნის დადასტურების მექანიზმი არის ბუნდოვანი, ის „ინდივიდუალურ გეგმას ამზადებს პირველი სემესტრის ბოლოს, ხოლო გასაუბრებამ რამდენად შესაძლებელია დაფაროს ეკონომიკის დარგის კვლევისთვის საჭირო კომპეტენციები ბუნდოვანია. საჭიროა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში გათვალისწინებული იქნას ეკონომიკური ცოდნის შეფასების მექანიზმი, ან პროგრამამ მისცეს საშუალება სტუდენტს შეივსოს ეკონომიკური ცოდნის დეფიციტი დამხმარე კურსების მეშვეობით. სხვაგვარად ეჭქვეშ დგება სწავლის შედეგების მიღწევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“; ➢ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება; ➢ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sas_proc_mart_instr_230819_SD.pdf;

- სტუ-ს აკადემიური საბჭოს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია";
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Science/doqt_charicxvis_pirobebi_2019.php?sphrase_id=282764;
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Agro/
- აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

- ✓ უნდა მოხდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მოდიფიცირება, შემდგომში ეკონომიკის დოქტორის კვალიფიკაციის მისანიჭეტალურად საჭირო კომპეტენციების შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი აგრარული ეკონომიკის პროგრამა შედგენილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად, ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. ერთი აკადემიური წლის განმავლობაში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი; დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 (ECTS) კრედიტისა ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები; სასწავლო კომპონენტი – 60 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტი. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 55 კრედიტის მოცულობით ძირითად სასწავლო კურსს, ხოლო 5 კრედიტის მოცულობა არჩევითია, რომლის დროსაც 2 სასწავლო კურსს შორის უწევს დოქტორანტს არჩევანის გაკეთება რომელებიცაა რეგიონის მდგრადი განვითარება და ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის დაგეგმვა შეესაბამება ,,უმაღლესი განათლების შესახებ კანონში“ 2018 წელს შესული ცვლილების (46-ე მუხლი) - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. ასევე იგივე აღნიშნულია მე-3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-14 პუნტქში. ძირითად კომპონენტებში ისწავლება: სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა 4 კრედიტი, ეკონომიკური კვლევის მეთოდები 5 კრედიტი, სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი 6, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება და აგრარული პოლიტიკის სტრატეგია 5 კრედიტი, მიწის მმართველობა 5 კრედიტი, სოფლის განვითარების პოლიტიკა თემატური სემინარი - 1, 10 კრედიტი და თემატური სემინარი -2, 15 კრედიტი. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კომპონენტში არ არის წარმოდგენილი პრაქტიკის კომპონენტი პროფესორის ასისტირების ან რაიმე სახით, თუმცა პროგრამის მიზნებში არ არის დეკლარირებული, რომ ამზადებენ უსდ-ს პროფესორს/მასწავლებელს, თუმცა პროგრამის შედეგში წერია „შეძლებენ *თანამედროვე სწავლის მეთოდების და ტექნოლოგიების*

გამოყენებას ეკონომიკური განათლების სფეროში . . .". ასევე დასაქმების სფეროებში აღნიშნულია *„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები".*

პროგრამაში არ არის გათვალიწინებული აგროეკონომიკა ან ზოგადად რაიმე სადოქტორო საფეხურის ეკონომიკის სასწავლო კურსი. კითხვაზე რატომ არ არის აღნიშნული საგანი პროგრამით პასუხად გაგვცეს, რომ ეს იყო სემინარზე გათვალისწინებული. თუმცა სასწავლო კურსის თემატური სემინარი 1-ს და თემატური სემინარი 2-ს არ აქვს შესაბამისი სილაბუსები, სასწავლო გეგმა ან უბრალოდ ძირითადი საყრდენი ლიტერატურა, რომლისგანაც მისი შინაარსის დადგენა იქნებოდა შესაძლებელი მისის შეფასება ხორციელდება დოქტორანტურის დებულების დანართით #3, სადაც მე-2 მუხლში წერია, რომ 2.4.1. დოქტორანტი საგანმანათლებლო პროგრამის სქემით განსაზღვრულ პერიოდში, ამზადებს ორ თემატურ სემინარს. განხორციელებული სასემინარო კვლევის შედეგების 4 პრეზენტაცია და შესაბამისი თემატური სასემინარო ნაშრომის დაცვა ხორციელდება აუდიტორიის წინაშე. 2.4.2. სამეცნიერო - თემატური სემინარის ძირითადი მიზანია დოქტორანტს: შესძინოს შესაბამისი საკვლევი თემის ფარგლებში კონკრეტული დარგის/ქვედარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; გამოუმუშავოს პრობლემატური საკითხების გაცნობიერების, პრობლემის სწორად და ეფექტიანად გადაწყვეტის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავების (გამოყენების), საკითხის კრიტიკული გააზრებისა და ინოვაციური მეთოდებით დამუშავების, აგრეთვე თემატურ დისკუსიაში დასაბუთებულად ჩართვის უნარი. 2.4.3. თემატური სასემინარო ნაშრომის შესრულებისა და მისი დაცვის შემდეგ დოქტორანტი განვითარების შემდეგ კომპეტენტურობებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები. აღნიშნული საკითხი საკმაოდ ბუნდოვანია, რაც ასახული იქნა უკვე მომზადებულ სემინარებზე, რომლებიც მიუხედავად მითი საკმაოდ კარგი შინაარსისა ძირითადად არ არის ეკონომიკის მეცნიერების შინაარსის. კონკრეტულად მასში არ არის ეკონომიკის თანამედროვე და უახლეს მოდელებზე თეორიებზე და მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა გადმოცემული.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესის მუხლის 3.1.2I 2018-19 საფუძველზე სასწავლო წლიდან აკრედიტებული პროგრამებისათვის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია: • კოლოკვიუმი - 1 (30 კრედიტი) • კოლოკვიუმი - 2 (30 კრედიტი) • სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა (60 კრედიტი).

პროგრამაში საერთოდ არ არის გათვალისწინებული კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების სიღრმისეული შესწავლა. იმ ფონზე, როცა ეკონომიკური მეცნიერების კვლევებისთვის სპეციალური მეცნიერების მიმართულებაც „ეკონომეტრიკა“ ანუ ეკონომიკის გაზომვა შექმნეს, რომელიც იყენებს მათემატიკურ-სტატისტიკურ მეთოდებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში არის საგანი „ეკონომიკური კვლევის მეთოდები“ სადაც მოკლედ მიმოხილულია ზოგადად სხვადასხვა მეცნერების კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგიები, რომელსაც შესაძლებელია იყენებდეს ეკონომიკური მეცნიერება, ეს არის კარგი შესავალი კურსი, რომელსაც შესაძლებელია უფრო დავარქვათ „ეკონომიკური კვლევის მეთდების მეცნიერეული ფილოსოფია“. თუმცა გარდა ამისა საჭიროა დოქტორანტურის საფეხურზე უფრო სიღრმისეულად მოხდეს შესწავლა კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების ინსტუმენტების. კვლევითი კომპონენტი, რომელიც ჯამობრივად 120 კრედიტიანია, მოიცავს სწავლების მეორე და მესამე წელს, გაყოფილია კოლოქვუმი 1- 30 კრედიტი კოლოქვიუმი -2 30 კრეიდტი და დისერტაციის დაცვა - 60 კრედიტი, ასევე თვითშეფასებაში წარმოდგენილია კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები. რაც იძლევა იმის დასტურს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანება ირღვევა კვლევითი კომპონენტის ერთჯერადად შეფასების მიმართულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სტრუქტურა ნაკლებად თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილობრივ მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ნაწილობრივ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანება ➢ საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“ და პროგრამის სილაბუსები; ➢ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება; ➢ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sas_proc_mart_instr_230819_SD.pdf; ➢ სტუ-ს აკადემიური საბჭოს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია”; ➢ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Science/doqt_charicxvis_pirobebi_2019.php?sphrase_id=282764; ➢ ფაკულტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Agro/

- აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

- ✓ მოხდეს თემატური სემინარისთვის - 1, და თემატური სემინარისთვის -2, სასწავლო გეგმის ან სილაბუსის მომზადება, რადგან მოპოვებული მტკიცებულებებით ბუნდოვანია, რამდენად შეესაბამება ის დარგის მოთხოვნებს;
- ✓ პროგრამას სასწავლო კომპონენტში უნდა დაემატოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდები რომელიმე თანამედროვე რაოდენობრივი კვლევით სოფთის კომპონენტის ინტეგრირებით;
- ✓ პროგრამის სასწავლო კომპონენტში დაემატოს საგანი თვისობრივი კვლევის მეთოდები;
- ✓ მოხდეს ეკონომიკის და ეკონომიკური ანალიზის თეორიების და პარადიგმების სასწავლო კომპონენტში შესწავლა, რადგან წარმოდგენილი პროგრამით არ დასტურდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეერვე საფეხურის ცოდნის შედეგი: სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში. სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება.
- ✓ თუ დასაქმების სფერო შესაძლებელია იყოს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები“ მაშინ პროგრამას არჩევითი სახით უნდა დაემატოს პროფესორის ასისტირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა ეკონომიკური კვლევის მეთოდები 5 კრედიტი, სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი 6, სასწავლო კურსებიდან, როგორც წინა ქვესტანდარტში აღინიშნა სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, სასწავლო კურსის შინაარსს და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და მისაღებ კვალიფიკაციას. თემატური სემინარი 1 და 2 ბუნდოვანია რამდენად შესაბამება პროგრამის შედეგებს, რადგან ის რეგულირდება ზოგად საუნივერსიტეტო დებულებით და მისთვის ცალკე არ არის გათვალისწინებული სარეკომენდაციო ლიტერატურა ანდა საკითხები. სასწავლო კურსების სილაბუსები: საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება და აგრარული პოლიტიკის სტრატეგია, მიწის მმართველობა და სოფლის განვითარების პოლიტიკა, ამასთანავე არჩევითი სასწავლო კურსები ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა და რეგიონის მდგარდი განვითარება, შედგენილია კარგად, მასში გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები და ლიტერატურა. თუმცა უმჯობესია აღნიშნული მიმართულებები უფრო ინტეგრირებული იყოს თემატურ სემინარებში და სასწავლო კურსებში სტუდენტებმა დააგროვონ ეკონომიკის მეცნიერების და კვლევის ინსტრუმენტების ცოდნა. სასწავლო კურსი „ეკონომიკური კვლევის მეთოდები“ კარგი შესავალი კურსია, თუმცა პროფესია/დარგი საჭიროებს უფრო ღრმა კომპეტენციებს კვლევის რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებში. ცალ-ცალკე სასწავლო კომპონენტების კომბინაცია უზრუნველყოფს სადოქტორო საფეხურის კომპეტენციების გამომუშავებას, თუმცა თუ ისინი განხილული იქნება ერთობლივად კომპეტენციები უფრო მეტად საჯარო ადმინისტრირების ანდა აგრო პოლიტიკის მიმართულებით ყალიბდება, თუმცა ბუნდოვანია რამდენად შეესაბამება აღნიშნული ეკონომიკის დოქტორის კომპეტენციას და კვლევითი მეთოდების ცოდნის

კომპეტენციის გამომუშავებას. მასში ეკონომიკის დარგის თანამედროვე თეორიების და ცოდნის სტრუქტურირება, მიკროეკონომიკური, ეკონომიური ანალიზის, რისკის შეფასების, ფერმერული მეურენობის ეკონომიკის, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის და დარგის სხვა მიმართულების სპეციფიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანება ○ საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“ და პროგრამის სილაბუსები; ○ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება; ○ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sas_proc_mart_instr_230819_SD.pdf; ○ სტუ-ს აკადემიური საბჭოს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია”; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Science/doqt_charicxvis_pirobebi_2019.php?sphrase_id=282764; ○ ფაკულტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Agro/ ○ აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.
რეკომენდაციები: ✓ გადაიხედოს სასწავლო კურსების კომბინაცია, მასში ინტეგრირდეს „ეკონომიკის“ მეცნიერების თანამედროვე თეორიები და ხედვები ამასთანავე ცალკე კურსად წარმოდგენილი იქნას კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები; ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები: საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება და აგრარული პოლიტიკის სტრატეგია, მიწის მმართველობა და სოფლის განვითარების პოლიტიკა, ამასთანავე არჩევითი სასწავლო კურსები ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა და რეგიონის მდგარდი განვითარება, შედგენილია კარგად, მასში გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები და ლიტერატურა. თუმცა აღნიშნული მიმართულებები უფრო ინტეგრირებული უნდა იყოს თემატურ სემინარებში და არა თავად სასწავლო კურსებში, სადაც სტუდენტებმა უნდა დააგროვონ ეკონომიკის მეცნიერების და კვლევის ინსტრუმენტების ცოდნა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. სასწავლო კომპონენტი – 60 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტი.

სწავლების პირველი წლის პირველ სემესტრში დოქტორანტი შეისწავლის ხუთ სასწავლო კომპონენტს, მათ შორის თემატურ სემინარ 1 - ს.

სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრში დოქტორანტი შეისწავლის ოთხ სასწავლო კომპონენტს, მათ შორის თემატურ სემინარ 2 - ს. **სწავლების მესამე წელი ეთმობა სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.**

სასწავლო კომპონენტებში გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტები, რომლებიც აფასებს სტუდენტის სხვადასხვა უნარებს და კომპეტენციების გამომუშავებას.

სამეცნიერო სტატიები უნდა გამოქვეყნდეს სადისერტაციო საბჭოების მიერ რეკომენდებულ და სტუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ ამ მიზნით აღიარებულ გამოცემებში ან ისეთ დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც გავრცელებულია საერთაშორისო მასშტაბით და რეფერირებულია ერთ-ერთ საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესში წერია, „3. თეორიული-ექსპერიმენტული კვლევა 3.3.1. სწავლების მეორე წლიდან, დოქტორანტი იწყებს თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას. კვლევის

ფარგლებში დოქტორანტს სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრებში ევალება, არანაკლებ სამი პუბლიკაციის მომზადება და რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება (რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების ნუსხა დადგენილია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ). სტატიები უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. ამ პერიოდში დოქტორანტმა ასევე, მონაწილეობა უნდა მიიღოს სულ მცირე ერთ სამეცნიერო კონფერენციაში (პირადად გააკეთოს მოხსენება). თეორიული/ექსპერიმენტალური კვლევის შესრულების შემდეგ დოქტორანტი განივითარებს შემდეგ კომპეტენტურობებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები.

პროგრამაში არ არის გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი, იმ სტუდენტებისთვის რომლებსაც არ აქვთ პედაგოგიური პრაქტიკა სასურველია შეათავაზოს პროფესორის ასისტირება.

რადგან პროგრამა არის კვალიფიკაციის ჩარჩოს მერვე საფეხურის განსკუთრებით მნიშნელოვანია სტუდენტებს გამოუმუშავდეს მაღალი დონის კვლევითი კომპეტენციები, კვლევით პროექტებში ჩართვას. აღსანიშნავია, რომ კარგი იქნება თუ პროგრამაში გათვალისწინებული იქნება კვლევითი პროექტის მომზადების და მართვის კურსი ინტეგრირება.

მტკიცებულება იმის შესახებ თუ რამდენად არიან საუნივერსიტეტო კვლევით პროექტებში ვერ იქნა მოპოვებული.

ასევე, როგორც ზემოთ აღინიშნა პროგრამის ფარგლებში არ ხდება მაღალი დონის კვლევითი უნარების განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანება
- საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“ და პროგრამის სილაბუსები;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sas_proc_mart_instr_230819_SD.pdf;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია”;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Science/doqt_charicxvis_pirobebi_2019.php?sphrase_id=282764;
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Agro/

- აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

- ✓ მოხდეს დოქტორანტების კვლევით პროექტებში ჩართვა.
- ✓ სასწავლო კურსებში მოხდეს სტუდნეტისთვის ანალიზის და კვლევითი კომპეტენციის ჩამოყალიბება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ➢ კარგი იქნება თუ პროგრამაში გათვალისწინებული იქნება კვლევითი პროექტის მომზადების და მართვის კურსი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდები, რომელიც

შეესაბამება სადოქტორო საფეხურს და წარმოდგენილ კურსების შინაარს და სწავლის შედეგებს.

სწავლა სწავლების მეთოდების და აქტივობების სახელმძღვანელო შემუშავებული აქვს უნივერსიტეტს, რომელითაც ხელმღვანელობას საგანმანათლებლო პროგრამები.

პროგრამაში არ არის წამოდგენილი თუ როგორ ერთვებიან დოქტორანტები კვლევით პროექტებში. თუმცა ისინი აწარმოებენ თავიანთ სადოქტორო კვლევას და მოეთხოვებათ სტატიების გამოქვეყნება და კონფერენციებში ჩართულობა. ასევე, პროგრამაში რადგან წარმოდგენილი არ არის სპეციალობის სასწავლო კურსების „თემატური სემინარი 1“ და „თემატური სემინარი 2“ სილაბუსები, შესაბამისად საკითხთა ჩამონათვალი და შესაბამისად სწავლების მეთოდები ვერ დასტურდება სტანდარტთან შესაბამისობის დონე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“;
- სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსები);
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf.

რეკომენდაციები:

- ✓ სპეციალობის სასწავლო კურსებისთვის „თემატური სემინარი 1“ და „თემატური სემინარი 2“ სილაბუსები, მომზადდეს სილაბუსები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებში, სტუდენტების შეფასება ხორცილდება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად 2-ჯერ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესში დეკლარირებულია, რომ დოქტორანტის თითოეული თემატური სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, შუალედური (30 ქულა) და დასკვნითი (70 ქულა) შეფასებებით. ხოლო შემდგომში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია. თემატური სემინარის შუალედური შეფასების კრიტერიუმებია 1.საჭირო ინფორმაციაზე წვდომა/მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა; 2. პრობლემის იდენტიფიცირება/მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა; 3. ინფორმაციის გამოყენების ეფექტიანობა/მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა; 4. გამოყენებული კვლევის მეთოდების სისტემა/მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა თემატური სემინარის დასკვნითი შეფასების კრიტერიუმებია: 1. ინფორმაციისა და მისი წყაროების კრიტიკული შეფასება, მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა; 2. დასკვნები და შედეგები, მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა; 3. ჩატარებული კვლევის ხარისხი, მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა; 4. თემის წარდგენის უნარი, მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა. მათი ჯამი არ არის 30 და 70. უნდა ვივარუდოთ, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზია და ამ ქულების სკალირება ხდება შუალედურისთვის 30 ქულად და ფინალურისთვის 70 ქულად. სადოქტორო დებულების მიხედვით „3.1.2I 2018-19 სასწავლო წლიდან აკრედიტებული პროგრამებისათვის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია: • კოლოკვიუმი - 1 (30 კრედიტი) • კოლოკვიუმი - 2 (30 კრედიტი) • სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა (60 კრედიტი)“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების თანახმად „8. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი ***უნდა შეფასდეს ერთჯერადად***

(დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.“ რადგან სადოქტორო ნაშრომი არის 1 და მასზე მუშობა მიმდინარეობს 2 წლის განმავლობაში, მისი შეფასება კი უნდა განხორციელდეს ერთხელ, ფინალური დაცვისას, წარმოდგენილი დოკუმენტაციით და თვითშეფასებით ირკვევა, რომ ფასდება კოლოქვიუმებიც. პროგრამაში კოლოქვიუმ 1-ს და კოლოქვიუმ 2-ს მინიჭებული აქვს 30-30 კრედიტი, ხოლო სადოქტორო ნაშრომს 60 კრედიტი. რის საფუძველზეც ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანება.

შესაბამისად შეტანილი უნდა იქნას ცვლილება და სადოქტორო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად ფინალური დაცვისას.

სტუდენტების შეფასების წესი გამჭირვალეა დეტალურადაა გაწერილი სილაბუსებში და გაწერილია დოქტორანტურის დებულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანება
- საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“ და პროგრამის სილაბუსები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Agro/
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი https://gtu.ge/Learning/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi.pdf;
- აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

- ✓ მოხდეს კვლევითი კომპონენტის ერთჯერადად შეფასება, მხოლოდ დაცვისას და მას უნდა მიენიჭოს 120 კრედიტი, რადგან პროგრამაში კოლოქვიუმ 1-ს და კოლოქვიუმ 2-ს მინიჭებული აქვს 30-30 კრედიტი, ხოლო სადოქტორო ნაშრომს 60 კრედიტი. რის საფუძველზეც ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. გაცნობილნი არიან საკუთარ უფლებებს, იცნობენ აპელაციის მექანიზმს და სხვ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და იღებენ ინფორმაციას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. სტუდენტების ინფორმირებულობისთვის, უნივერსიტეტი იყენებს სოციალურ ქსელებს, ელექტრონული მიმოწერის საშუალებებს და უნივერსიტეტის ვებგვერდს. ასევე, არსებობს სპეციალური აპლიკაცია სტუ-ს სტუდენტებისთვის, რომლის მეშვეობითაც მათ საშუალება აქვთ წვდომა ჰქონდეთ ადმინისტრაციასთან, მოითხოვონ სპეციალური დოკუმენტაცია დანიშნულებისამებრ. სადოქტორო პროგრამის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს საჭირო ინფორმაცია მიიღოს უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათთვის ლექტორთან კომუნიკაცია როგორც ტელეფონით, ასევე, პირდაპირი კომუნიკაციით, საკმაოდ მარტივია. იციან სადისერტაციო ნაშრომის შექმნის კრიტერიუმები. აქვთ ხშირი კომუნიკაცია ხელმძღვანელებთან. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ ღონისძიებებსა და კონფერენციებში, თუმცა შეინიშნება საერთაშორისო პროექტების სიმცირე. სწორედ ამიტომ სასურველი იქნება, თუ უსდ ამ კუთხით მიიღებს შესაბამის ზომებს და აგრარული ეკონომიკის სადოქტორო საფეხურზე გაძლიერდება ეს კომპონენტი საერთაშორისო კონფერენციების ან გაცვლითი პროექტების სახით. სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილ სასწავლო კურსებს, მის საჭიროებას და ლექტორებს. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების

პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს. ეწყობა სპეციალური შეხვედრის დღეები, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოთქვან თავიანთი აზრი პროგრამასთან მიმართებაში ან წამოაყენენონ ინიციატივები. მაგალითად, სტუდენტების რეკომენდაციებით, პროგრამაში სავალდებულო კურსს დაემატა ორი არჩევითი საგანი კლასეტერული პოლიტიკა და რეგიონალური მდგრადი განვითარება. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების დროს სტუდენტებმა ყურადღება გაამახვილეს, რომ პროგრამაში არსებული საგნები და სწავლების მეთოდები სრულიად შეესაბამება მათ სურვილებს, მოთხოვნებსა და მოლოდინებს.

კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ შემდგომში პროგრამის გაუმჯობესებისთვის კარგი იქნებოდა კვლევის კომპონენტის გაძლიერება. ასევე, აღნიშნეს, რომ სწავლის დასრულების შემდეგაც თანამშრომლობენ დაწესებულებასთან, მაგალითად, უნივერსიტეტის ძალისხმევით ქმნიან მონოგრაფიებს სადოქტორო ნაშრომზე დაყრდნობით.

უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო არსებულ სტანდარტებს აკმაყოფილებს. დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს სტუდენტებთან კონსულტაციებს, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილი სასწავლო კურსის სირთულეს, საჭიროებას და ლექტორის ცოდნისა და უნარების შესაბამისობას. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს. სტუდენტებს შეუფერხებელი წვდომა აქვთ სასწავლო კურსის სილაბუსებსა და მასში მითითებულ ლიტერატურაზე.

უნივერსიტეტში შექმნილი გარემო არსებულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კითხვარი და მისი ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“
- სასწავლო კურსების პროგრამა (სილაბუსები);
- სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გადაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია (აკადემიური საბჭოს 28.05.2013 წ. დადგენილება № 936 დადგენილება);
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული შეხვედრების ოქმები.
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Agro/;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაძლიერდეს კვლევითი მეთოდების სასწავლო კურსები პროგრამაში, რაც საკონსულტაციო მომსახურების ეფექტურობას გაზრდის;
- სასურველია „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამას დაემატოს დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები ეკონომიკის მიმართულებით.
- სასურველია „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამაზე გაიზარდოს საერთაშორისო პროექტების რაოდენობა საერთაშორისო კონფერენციების ან გაცვლითი პროექტების სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტი წერს და იცავს სადოქტორო ნაშრომს, რომლის მიზანია გამოუმუშაოს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკა. ღრმად და სისტემურად დაეუფლოს საკვლევი დარგის თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ და კვლევით უნარებს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სადოქტორო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სადოქტორო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციაში და სადოქტორო დებულებაში. სტუდენტს შეუძლია, საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჰყავდეს თანახელმძღვანელი. ამის პრაქტიკა ყოფილა. თანახელმძღვანელის არსებობა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს თავისი

ინტერესებიდან გამომდინარე კომუნიკაცია ჰქონდეს დარგის ვიწრო სპეციალისტთანაც, რაც თავის მხრივ, დოქტორანტს დაეხმარება საკითხის ღრმად და ფუნდამენტურად შესწავლაში. სადოქტორო ნაშრომის თემებს ამტკიცებს სადოქტორო დეპარტამენტის საბჭო. დამტკიცებულ თემაზე სტუდენტი მუშაობს ხელმძღვანელთან მჭიდრო კონსულტაციების რეჟიმში. ხელმძღვანელი სტუდენტს ეხმარება კვლევის პროცესთან დაკავშირებულ ყველა საჭირო კომპონენტში. იგი აცნობს სადოქტორო ნაშრომის წარმატებულად დაცვისთვის საჭირო კრიტერიუმებს.

დოქტორანტების ხელმძღვანელები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტით, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო და ადგილობრივი პუბლიკაციების/ღონისძიებების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გადაეხედათ სადოქტორო ნაშრომებისთვის. ნაშრომებს თან ახლავს, როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი ანოტაცია და შესაბამისი ბიბლიოგრაფია. სადოქტორო ნაშრომები შემოწმებულია პლაგიატზე.

ნაშრომების თემატიკა საინტერესოა. სადოქტორო ნაშრომების შეფასება ხდება სადოქტორო ნაშრომის დაცვის საბჭოს მიერ, რომელიც შედგება 25 პირისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და გამოქვეყნებული შრომების სიები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: http://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php;
- სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცების წესი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://gtu.ge/Learning/pdf/doqtoranturis_debuleba_2019_1.pdf;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Agro/
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი https://gtu.ge/Learning/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi.pdf;
- აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შერჩეულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც მოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებასა“ და აკადემიური საბჭოს მიერ გამოცხადებული აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით ღია კონკურსის წესის მიხედვით. აკადემიური პერსონალის კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი ცოდნით, გამოცდილებითა და კვალიფიკაციით. ასევე, მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მათ აქვთ სასწავლო კურსის სილაბუსებით და მთლიანობაში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის აუცილებელი კომპენტეცია. პროგრამას არ ყავს მოწვეული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რაც არღვევს თანაფარდობის მიდგომას, რაც ხელს უშლის პროგრამის მდგრადობას. სასურველია, მოწვეული პერსონალის რაოდენობა გაიზარდოს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში 0-ის ტოლია. არ ჩანს ახალგაზრდა კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის მექანიზმი და სურვილი. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში. სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციისა მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

აღსანიშნავია, რომ აგრარული ეკონომიკის მიმართულებით დასავლური ცოდნის და კვლევის საჭიროება საქართველოში. თუმცა ამ მიმართულებით პროგრამის ხელმძღვანელი ინტენსიურად მუშაობს და ბევრი მიღწევები აქვს, პროგრამის განხორციელებაში ახალგაზრდა კადრების ჩართვა უმნიშვნელოვანესია პროგრამის მომავალი მდგრადობისა და განვითარებისათვის. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა არ იცის ინგლისური ენა, რა ენაზეც უმეტესად ქვეყნდება დარგის უახლესი კვლევები და მიღწევები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები; ○ საგნების სილაბუსები; ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ✓ უნივერსიტეტმა უნდა შექმნას ეფექტური მექანიზმი ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოსაზიდად; ✓ სპეციალობის შესაბამისად უსდ-მ უნდა მოახდინოს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება უცხოელი პროფესორების დროებითი მოწვევით; ✓ მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა., რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და განვითარებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში. პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებასა და მუშაობაში. უნივერსიტეტი ატარებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას. ანალიზის შემდეგ აქტიურად იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგებს აკადემიური და სამეცნიერო პროფესიული განვითარებისთვის. უსდ-ში რეგულარულად ხდება აკადემიური, სამეცნიერო პერსონალის გამოკითხვა ელექტრონული ფორმატით. ასევე, აკადემიური პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის მონიტორინგი ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვის მექანიზმით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ისინი მონაწილეობას იღებენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტრენინგებში, პროექტებსა თუ კონფერენციებში. აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში, საგრანტო პროექტების ფარგლებში. მიუხედავად აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მაღალი კომპეტენციისა, უცხოურ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები არ გვხვდება. ვიზიტის დროს განხორციელებულმა ინტერვიუებმა, კვლევით ლაბორატორიებში და სასწავლო აუდიტორიებში ვიზიტმა დაგვარწმუნა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს და ფაკულტეტს გააჩნია შესაბამისი რესურსი და ბაზა იმისათვის, რომ პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა და სამეცნიერო პერსონალმა გაიუმჯობესოს აკადემიური და სამეცნიერო მიღწევები,
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი. ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ძირითად და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფაკულტეტმა და შესაბამისად უსდ-მ უნდა შეიმუშავოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამები აგროეკონომიკის მიმართულებით. ასევე საჭროა პროგრამაში ახალგაზრდა კადრების ჩართვაც, რაც პროგრამას უფრო მდგარდს გახდის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მატერიალურ - ტექნიკურმა ბაზა და ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევების ჩატარების გარემოს o სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები აღჭურვილია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისთვის;

o ლაბორატორიული აღჭურვილობები თანამედროვეა, აკმაყოფილებს მოთხოვნებს როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად, ვინაიდან დოქტორანტურის სტუდენტების რაოდენობა მცირეა. o ინტერნეტი ხელმისაწვდომია მთელ კამპუსში, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიობლიოთეკა უზრუნველყოფილია სრული ელექტრონული კატალოგით, ასევე სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული მონაცემთა ბაზით, საქართველოს ბიბლიოთეკების გაერთანებული კატალოგით და EBSCO-ს ბაზებით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU-tables ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია, რომელსაც აქვს ინტერფეისის ენის შეცვლის ფუნქცია(ქართული, ინგლისური, რუსული);
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“ ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ვიზიტის დროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ განახლებულ პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები: რეგიონის მდგრადი განვითარება და ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა; ✓ დიდია დაინტერესება და თანადგომა საქართველოს აღმასრულებელი ინსტიტუციებიდან უშუალოდ ამ პროგრამის მიმართ და კურსდამთავრებულების დასაქმების მიმართ.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტში ცენტრალიზებულად (უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით). უნივერსიტეტის მიერ, ერთიანი ბიუჯეტიდან, ფაკულტეტისთვის პროცენტულად ხდება თანხის გამოყოფა, რომელსაც ფაკულტეტი ანაწილებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გაწერილ ყველა პუნქტზე. ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტში განისაზღვრება ფინანსები ფაკულტეტზე არსებული პროგრამებისათვის, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

ინტერვუსს დროს უნივერსიტეტის წარმომადგელები ასაბუთებდნენ, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“ მოთხოვნადია წარმოადგენს ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგს. თუმცა ბოლო 5წლის განმავლობაში სულ ჩაირიცხა 16 კაცი, აქედან დაასრულა პროგრამა 3-მა და 3-მა სტატუსი შეიჩერა და ამჟამად აქტიური სტატუსის მქონე არის 10 დოქტორანტი.

კითხვაზე თუ რა ძირითადი რესურსები შეიძინა პროგრამამ აკრედიტაციიდან აკრედიტაციამდე, განაცხადეს, რომ პროგრამა თანხების დიდ კონტრიბუციას არ მოითხოვს. ამასთან, სტუდენტს უარს არ ეუბნებიან თუ, რაიმე ექსპერიმენტზე სჭირდებათ. (თუმცა, აქამდე დაცული დისერტაციების საექსპერიმენტო რესურსები უნივერსიტეტს არ გაუცია).

ზოგადად აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტს, აქვს კარგი სახელმწიფო დაფინანსება, დარგის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე და შესაძლებლობა მხარი დაუჭირონ სტუდენტებს კვლევებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა;
- აგრარული მეცნიერების და ბისისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტი.
- ინტერვიუ ადმინისტრაციის პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტს აქვს გამართული შიდა ხარისხის მექანიზმები. დოქტორანტურის პროგრამის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. უნივერსიტეტში მოქმედებს და ხელმისაწვდომია საჯაროდ ხარისხის უზრუნველ;ყოფის სისტემა, რომელიც ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა - განხორციელება-შეფასება-განვითარება. უნივერსიტეტი პერიოდულად სთავაზობს ტრენინგებს აკადემიურ პერსონალს. ხარისხის სამსახურის ხელშეწყობით ფაკულტეტზე არის საფაკულტეტო კომისია, სადაც შედის ყველა რგოლის წარმომადგენელი და ახორციელებენ მონიტორინგს, რაც ეფექტურს ხდის უკუკავშირის პროცესს ფაკულტეტზე. სტუდენტურ სერვისებზე სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულად, არის სპეციალური აპლიკაცია, რომელითაც აქტიურად სარგებლობენ. გათვალისიწინებული არის უცხოელი სტუდენტები და აპლიკაცია სამ ენაზეა. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხდება მიზნებთან დადარების პრინციპით. მონიტორინგის ლოგიკური ჩარჩოს ინდიკატორები - შეფასების მექანიზმია, მონაცემები ციფრობრივია და ეხება შეფასებიდან გამომდინარე საგნობრივს აკად. მოსწრების გათვალისწინებით (მოსწრების ანალიზი). სილაბუსს გააჩნია თავისი მიზანი და მოწმდება შედეგი ანუ სილაბუსის შესაბამისობას მიზანთან და შედეგთან. მოწმდება სილაბუსის სტრუქტურა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა ხარისხის სამსახურის შიდა შეფასების მექანიზმის სუსტ მხარეს წარმოადგენს, ის რომ გამოკითხვები ტარდება ფურცლებზე, მათ აქვთ ელექტრონული სისტემა გამოკითხვების, მაგრამ თვლიან რომ ფურცლებით გამოკითხვა უფრო ეფექტურია, რაც იწვევს როგორც ადამიანურ, დროის და მატერიალურ რესურსების ზედმეტ ხარჯვას. აღსანიშნავია, რომ დაინტერესბული მხარეების კვლევა ზედაპირულია და მნიშვნელოვანი ინფორმაციას არ იძლევა პროგრამის განვითარებისთვის.

ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმების შეასწავლის დროს ვერ დავადგინეთ თუ, როგორ ხდება პროგრამის მომზადების დროს კვალიფიკაციის კოდის მინიჭება და აღნიშნულ კვალიფიკაციასა და მიზნებს შორის შედარების დადგენა, რაც პროგრამის ძირითად პრობლემას წარმოადგენს და საფუძველს იძლევა, რომ ხარისხის შიდა შეფასების პროცესი მეტნაკლებად ეფექტურად შეფასდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ გვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია;
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Agro/#;
- აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #65/ნ, http://gtu.ge/Files/Pdf/65 n%20akred.pdf

რეკომენდაციები:

- ✓ ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმებით განისაზღვროს პროგრამის მიზნის, კვალიფიკაციის აღმწერის შესაბამისად კოდის მინიჭება, ან კოდის საფუძველზე შეთავაზებული კურსების რელევანტურების დადგენა.
- ✓ შიდა ხარისხის შეფასების საფუძველზე მიერ ჩატარებულია გამოკითხვები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პერსონალი), თუმცა კითხვარები ზოგადია და ზედაპირული, რაც სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა. დაინტერესებული მახარეების კვლევა უფრო მეტად კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებაში უნდა მოხდეს და მისი ანალიზის შედეგად უნდა განხორციელდეს ცვლილებები პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების საფუძველზე იკვლევა, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას ,,აგრარული ეკონომიკა“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2015 წლის 18 მარტს №39 გადაწყვეტილების საფუძველზე მიანიჭა აკრედიტაცია. 2015 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წლიური ანგარიშის წარდგენა, რომელშიც ასახული იყო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები. ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის №76 გადაწყვეტილებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. აღსანიშნავია, რომ პროგრამას ერთვის 12 რეცენზია, რომელებიც მომზადებულია მაღალკვალიფიციური მეცნიერების მერ, ყველა რეხენზია დადებითა დარგის საჭიროებას

და პრიორიტეტულობა არის ხაზგასმული რაც ნამდვილად ასეა. თუმცა არც ერთში არ არის საუბარი პროგრამის შინაარსსა და კვალიფიკაციის რელევანტურობაზე. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პერიოდში რეგულარულად ხდება გარე ხარისხის შეფასების გამოყენება, კერძოდ აკრედიტაციის პერიოდში მიღებული რეკომენდაციები და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან; ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ უმარლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები http://ege.ge/res/docs/#3, 7.02.2018 pdf; ○ უმაღლესო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები http://ege.ge/res/docs/Acreditacion standards doc
რეკომენდაციები: ✓
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ ხარისხის გარე შეფასების დროს, რეცენზიების ნაცვლად გამოყენებული იქნას პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის რელევანტურობის დადგენა საკვალიფიაკაციო ჩარჩოსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პერიოდულად, შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. პროგრამის მონიტორინგის ინდიკატორები წინასწარ არის განსაზღვრული, რაც ეფუძნება უნივერსიტეტის მონიტორინგის ინდიკატორებს. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება შესაბამის კითხვარების გამოყენებით.

პროგრამის მონიტორინგში და შეფასებაში ჩართული არიან აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები. ფაკულტეტზე შექმნილია საფაკულტეტო კომისია, რომელიც პერიოდულად ახდენს ფაკულტეტზე სწავლება-სწავლის ხარისხის შეფასებას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არის მხოლოდ მონაცემები და არ არის პროგრამის შედარებითი ანალიზი საერთაშორისოდ აღიარებული უნივერისტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, აღნიშნული პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. ამასთანავე არ ხდება საგნებისა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის კავშირის დადგენა.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია არის ფაილი სადაც ჩამოთვლილია საუკეთესო მოწინავე ინსტიტუტების აგრარული ეკონომიკის სასწავლო მოდულები სადაც თვალნათლივ წერია რომ ძირითადი საგნების კომბინაცია. მაგალითად:

Kansas State University -კანზასის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Mathematical Economics	მათემატიკური ეკონომიკა
Macroeconomic Theory	მაკროეკონომიკური თეორია
Advanced Microeconomic Theory	მოწინავე მაკროეკონომიკური თეორია
Research Methods in Economics	კვლევითი მეთოდები ეკონომიკაში
Quantitative Topics in Agricultural Economics	რაოდენობრივი საკითხები აგრარულ ეკონომიკაში
Econometrics	ეკონომეტრიკა
Agricultural Demand and Commodity Marketing	აგროპროდუქტებზე მოთხოვნა და საქონლის მარკეტინგი
Economics of Agricultural Production	აგროწარომების ეკონომიკა

კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Applied Microeconomic Theory	გამოყენებითი მიკროეკონომიკის თეორია
Methodology of Economic Research	ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია

Optimization Methods for Applied Economics	ოპტიმიზაციის მეთოდები გამოყენებითი ეკონომიკისთვის
Econometric Theory	ეკონომიკური თეორია
Microeconomic Analysis	მიკროეკონომიკური ანალიზი
Advanced Methods in Applied Economics	მოწინავე მეთოდები გამოყენებით ეკონომიკაში
Quantitative Methods for Economists	რაოდენობრივი მეთოდები ეკონომისტებისათვის

ასევეა გაანალიზებული სხვა უნივერსიტეტის პროგრამები, სადაც ძირთადად სჭარბობს რაოდენობრივი მეთოდების და ეკონომიკის მოდულები, თუმცა აღნიშნული პროგრამაში არ არის გათვალისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების დროს უნდა დადგინდეს საერთაშირისო ბენჩმარკინგული მიდგომები პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით და შესაბამისად შეფასდეს პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დამსაქმებლებთან შეხვედრა’
- კითხვარები, ოქმები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Science/doqt_charicxvis_pirobebi_2019.php?sphrase_id=282764;
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Agro/
- აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

- ✓ მოხდეს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად პროგრამის პერიოდული შეფასება და მისი შესაბამისად მოდიფიცირება.
- ✓ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების დროს უნდა დადგინდეს საერთაშირისო ბენჩმარკინგული მიდგომები, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და შესაბამისად მოხდეს პროგრამის მოდიფიცირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

„აგრარული ეკონომიკა“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკა გეგეშიძე, ხელმოწერა

თამარ სანიკიძე ,



ელენე ჭირაქაძე, ხელმოწერა